პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტუ-რებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

მიზანი 1: შესძინოს კურსდამთავრებულს საზოგადოებრივი, კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების აგების, მონტაჟისა და აღჭურვის ძირითადი სამშენებლო ტექნოლოგიების შესრულების ხერხებისა და მეთოდების, საჭირო სამშენებლო მანქანების შერჩევის წესების, სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმართვის, სამუშაოთა შესრულების ხარისხის კონტროლის, შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების შენარჩუნების ტექნოლოგიების და მშენებლობის ორგანიზაციისა და მართვის ძირითადი საკითხების ცოდნა.

მიზანი 2: მშენებლობის ინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, შესძინოს კურსდამთავრებულებს პრაქტიკული ხასიათის სამშენებლო პროექტების განხორციელების უნარი, გარემოს დაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმსაზღვრელი მოთხოვნების, გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით;

მიზანი 3: შეუქმნას კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი, რათა მიღებული განათლებით წვლილი შეიტანონ სამშენებლო კომპლექსის გამართულ მუშაობაში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. მშენებლობის ინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნით, კრიტიკულად იაზრებს სფეროს თეორიებსა და პრინციპებს;
2. განმარტავს მშენებლობის ინჟინერიის ზოგიერთ უახლეს ასპექტს, რომელიც გულისხმობს საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟს, აგებასა და მათი შენარჩუნების ტექნოლოგიასა და ტექნიკას;
3. მშენებლობის ინჟინერიის სფეროში, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით, ახდენს ისეთი რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც აკმაყოფილებენ მოსახლეობის გარემოს დაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმსაზღვრელ მოთხოვნებს, გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით;
4. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, გეგმავს და ატარებს ექსპერიმენტს, ახორციელებს პრაქტიკული ხასიათის პროექტს, სტანდარტული, ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით და პროფესიული მსჯელობით ახდენს მიღებული მონაცემების ანალიზის ინტერპრეტაციას და აყალიბებს სათანადო დასკვნებს;
5. ეთიკის, შრომის და უსაფრთხოების ნორმების დაცვით არჩევს მშენებლობის ინჟინერიაში

საშენ მასალებს, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას, მონაწილეობს სამშენებლო პროცესების, კონსტრუქციული ელემენტების მონტაჟის, შენობების აგების და აღჭურვის, მშენებლობის ხარისხის კონტროლის, შეფასების და ტექნიკური ექსპერტიზის განხორციელებაში;

6. სამშენებლო ტენდერების, კონტრაქტების და პროფესიული ლიცენზირების თავისებურებების გააზრებით, განმარტავს მშენებლობის მენეჯმენტის საკითხებს და აანალიზებს სიტუაციებს, მშენებლობის ეკონომიკის, მშენებლობის ორგანიზაციისა და მართვის, ასევე ბიზნესის წარმოების პრინციპების ცოდნაზე დაყრდნობით;
7. სპეციალისტების და არასპეციალისტების აუდიტორიასთან, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, აწარმოებს მკაფიო და გასაგებ კომუნიკაციას სფეროსთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების თაობაზე;
8. საკუთარი პასუხისმგებლობით და საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით ჩართულია გუნდის განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში, რომლის წევრებთან ერთად მონაწილეობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნასა და დასახული ამოცანების შესრულებაში;
9. გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, განსაზღვრავს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და ახორციელებს მას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო

კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმუმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებ(ებ)ის კომპონენტ(ებ)ში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასება სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად (ჯამში არანაკლებ 30 ქულა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ https://www.gtu.edu.ge/uploads/2026/03/educational-process2.pdf

საგანი	**კრედიტი**
[საინჟინრო მათემატიკა 1]	[5]
[ზოგადი ფიზიკა A]	[4]
[ზოგადი ქიმია A]	[4]
[საინჟინრო მათემატიკა 1]	[5]
[ინგლისური ენა 1]	[5]
[გერმანული ენა 1]	
[ფრანგული ენა 1]	
[რუსული ენა 1]	
[მხაზველობითი გეომეტრია]	[3]

[დაპროგრამების საფუძვლები მშენებლობაში]	[4]
[გეოდეზია 1]	[3]
[პროფესიული და ბიზნეს კომუნიკაცია]	[3]
[შესავალი ფსიქოლოგიაში]	[3]
[ფილოსოფიის საფუძვლები]	
[სოციოლოგიის შესავალი]	
[საქართველოს ისტორია]	
[აკადემიური წერის ელემენტები]	
[კულტუროლოგია]	
[ტექნიკური დიზაინის ისტორია]	
[პოლიტიკის საფუძვლები]	
[მსოფლიო ხელოვნების ისტორია]	
[საინჟინრო მათემატიკა 2]	[5]
[ზოგადი ფიზიკა B]	[4]
[ინგლისური ენა 2]	[5]
[გერმანული ენა 2]	
[ფრანგული ენა 2]	
[რუსული ენა 2]	
[სამშენებლო ხაზვა]	[4]
[გეოდეზია 2]	[3]
[თეორიული მექანიკა (სტატიკა)]	[5]
[ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა]	[5]
[ინგლისური ენა 3]	[5]

[გერმანული ენა 3]	
[ფრანგული ენა 3]	
[რუსული ენა 3]	
[საშენი მასალები 1]	[3]
[თეორიული მექანიკა (დინამიკა)]	[5]
[საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა]	[3]
[მასალათა გამძლეობა 1]	[4]
[საინჟინრო გეოლოგია და გრუნტების მექანიკა]	[3]
[სამშენებლო საქმის შესავალი]	[3]
[მასალათა გამძლეობა 2]	[4]
[ფუძე საძირკვლები]	[3]
[საშენი მასალები 2]	[3]
[სამშენებლო მექანიკა 1]	[3]
[სამშენებლო ინჟინერიის ამოცანების კომპიუტერული გაანგარიშება]	[6]
[ზოგადი ჰიდრავლიკა]	[4]
[ჰიდროლოგიის საფუძვლები]	[3]
[შენობა-ნაგებობების არქიტექტურა]	[3]
[სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები]	[6]
[ჰიდროტექნიკური მშენებლობის საფუძვლები]	[5]
[სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები]	[5]
[სამშენებლო პროცესები]	[5]
[სამშენებლო მექანიკა 2]	[5]
[ხის, პლასტმასის და მსუბუქი კონსტრუქციები]	[5]

[რკინაბეტონის და ქვის კონსტრუქციები]	[5]
[ლითონის კონსტრუქციები]	[5]
[საინჟინრო უსაფრთხოების საფუძვლები მშენებლობაში]	[4]
[სამშენებლო ტენდერები, ეთიკა და კონტრაქტები]	[3]
[ბიზნესის წარმოების პრინციპები]	[3]
[შენობა-ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა]	[3]
[წყალმომარაგებისა და წყალარინების საფუძვლები]	[3]
[გარემოს დაცვა და ეკოლოგია]	[3]
[მშენებლობის ეკონომიკა]	[5]
[მშენებლობის ორგანიზაცია და მართვა]	[5]
[წინასაბაკალავრო პრაქტიკა]	[5]
[პროფესიული ლიცენზირება და ხარისხის კონტროლი მშენებლობაში]	[4]
[ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნები მშენებლობისას]	[3]
[მშენებლობის შეფასება და ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები]	[3]
[საბაკალავრო ნაშრომი]	[5]
[გათბობა-თბომომარაგება]	[5]
[ვენტილაცია და ჰაერის კონდიცირება]	[5]
[რკინიგზის ლიანდაგის კონსტრუქციული მოწყობა]	[6]
[ლითონის შენობა-ნაგებობები]	[5]
[ფასწარმოქმნა და სახარჯთაღრიცხვო საქმე მშენებლობის ინჟინერიაში]	[5]
[რკინიგზის დაპროექტების საფუძვლები]	[3]
[რკინიგზის მშენებლობის ტექნოლოგია]	[6]

[მცირე მექანიზაციის საშუალებები მშენებლობაში]	[5]
[საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია]	[5]
[საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების საფუძვლები]	[5]
[საგვირაბო გადაკვეთების მოწყობა]	[6]
[საზღვაო პორტები და ნაგებობები]	[5]
[სამშენებლო სამუშაოების ხარისხის კონტროლი საავტომობილო გზებზე]	[5]
[სამშენებლო სარემონტო სამუშაოები]	[5]
[მშენებლობის კომპლექსური მექანიზაცია]	[5]
[სამშენებლო წარმოების თანამედროვე მეთოდები]	[5]
[სატრანსპორტო გვირაბების გაანგარიშების საფუძვლები]	[3]
[სატრანსპორტო გვირაბების მშენებლობის ტექნოლოგია]	[6]
[საშენი მასალების კვლევა-ძიების და კონტროლის მეთოდები]	[5]
[სახიდე გადასასვლელები და მცირე საგზაო ნაგებობები]	[6]
[ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე]	[5]
[რკინაბეტონის შენობა-ნაგებობები]	[5]
[შენობათა თბური რეჟიმი]	[5]
[შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია]	[5]
[შენობა-ნაგებობების აღდგენა-გაძლიერება]	[5]
[შენობა-ნაგებობების დაზიანების დიაგნოსტიკა]	[5]
შენობა-ნაგებობების ტექნიკური ექსპლუატაცია]	[5]
[დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გაანგარიშება კომპიუტერული პროგრამა „SOFISTIK”-ის	[5]

გამოყენებით]	
[წყალარინების სისტემების მშენებლობა]	[5]
[წყალმომარაგების და წყლის არინების სისტემები]	[5]
[წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა]	[5]
[ხიდების მშენებლობის ტექნოლოგია]	[6]
[სამშენებლო ამწეები და მექანიზმები]	[5]
[ხიდების გაანგარიშების საფუძვლები]	[3]
[ჰიდროელექტროსადგურები]	[5]
[ჰიდროტექნიკური ნაგებობები]	[5]
[გაზმომარაგება]	[5]
[რისკების მართვა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მეთოდები]	[5]
[რკინიგზის ლიანდაგის მოვლა-შენახვა]	[5]
[საავტომობილო გზების და აეროდრომების მოვლა-შენახვა]	[5]
[სატრანსპორტო გვირაბების მოვლა-შენახვა]	[5]
[სამშენებლო კონსტრუქციების სეისმომედეგობა]	[5]
[წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია]	[5]
[ხიდების მოვლა-შენახვა]	[5]
[ჰიდროსაიზოლაციო, თბოსაიზოლაციო და მოსაპირკეთებელი მასალები]	[5]
[ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის წარმოება და ორგანიზაცია]	[5]
[საშენი მასალებისა და ნაკეთობების საწარმოთა ტექნოლოგიური მანქანები და მოწყობილობები]	[5]
[დედამიწის ისტორია]	[3]

[რკინიგზის მშენებლობის ისტორია]	[3]
[მშენებლობა და კულტურა]	[4]
[სასამართლო საამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები]	[4]
[მწვანე მშენებლობა]	[3]
[ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები]	[5]
[სტილი არქიტექტურაში]	[5]
[შესავალი ფერთამცოდნეობაში]	[5]
[ჰიდროგეოლოგია]	[5]
[განახლებადი ენერგიით გათბობა]	[5]
[ლიფტები და შენობების ენერგომომარაგება]	[5]
[მარკეტინგი მშენებლობაში]	[5]
[წყლის ეკოლოგია]	[5]
[შენობა-ნაგებობათა გამოცდა]	5]
[მშენებლობა და გარემო]	[5]
[ინფორმატიკის საფუძვლები]	[5]
[წყლის რესურსების დაცვა]	[5]
[ჰიდროენერგეტიკის დარგი და ქვეყნის ეკონომიკა]	[5]
[მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია]	[3]
[წარმატების სტრატეგია]	[3]
[ჰიდროინჟინერია ენერგეტიკასა და მელიორაციაში]	[5]
[საგზაო მშენებლობის ისტორია]	[4]
[მიწის ვაკისის წარეცხვისაგან დამცავი ნაპირსამაგრი და სარეგულაციო ნაგებობები]	[5]

[ხელოვნური ნაგებობების განვითარების ისტორია]	[4]
სულ	**[240]**